



კანონის და განცხადებულების პრეზრი

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის
დეკემბრის 30.

№ 22
განცხადება ბირეველი

ა/კსფსრ სახალ. კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართვე-
ლობის მიერ გამოცემული.

ზ 0 6 1 1 6 0:

- მუხ. 253. პროფესიონალური განათლების საგზაო განყოფილებასთან არსებული ტეხნიკუმის კურსდამთავრებულ პირთათვის ამიერკავკასიის რკინის გზებზე სამსახურის სავალდე-ბულო ვადის დაწესების შესახებ.
- „ 254. საგადასახადო კომისების შედეგენილობის შესახებ.
- „ 255. სამხედრო და სახლვაო საქმეთა სახალხო კომისარის არგანოებისათვის მიკუთვნე-ბულო საცხოვრებელი სახლებიდან აღმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ.
- „ 256. უქმე-დღეებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ.
- „ 257. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „მ“ და „დ“ პუნქტების მიხედვით დათხოვ-ნის შესახებ.
- „ 258. ტფილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური სექციისათვის პრემიის მიცემის შესახებ.
- „ 259. ა/კსტრ-ში კომპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად არსებული ფონ-დების დებულების შეცვლის შესახებ.
- „ 260. ა/კ. ცენ. აღმ. ტ-ის მიერ „ადგილობრივ საჭიროებათა დაქმაყოფილების სფეროში გლებთა მოსახლეობის უფლებების თაობაზე“ 1927 წ. იანვრის 31-ს თარიღით გამო-ცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.
- „ 261. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1928-29 საშენაწერო წელს წყლის გამოსალების დაწესების შესახებ.
- „ 262. ამშ. ა. მ. ნაზარეთიანისათვის ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოად-გილის მოვალეობის აღსრულების დაკისრების შესახებ.
- „ 263. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარის მიერ „ანგარიშგასწორებას წიგნაკების თაო-ბაზე“ 1924 წ. ივლისის 23-ს თარიღითა და 107 №-ით გამოცემული დადგენილების მე-6 მუხლის გაუქმების შესახებ.
- „ 264. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომისართან და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

253. პროფესიონალური განათლების საგზაო განყოფილებასთან არსებული ტეხნიკუმის კურსდამთავრებულ პირთათვის ამიერკავკასიის რეკინის გზებზე სამსახურის სავალდებულო ვადის დაწესების შესახებ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ა/კ. რეკინის გზების პროფესიონალური განათლების საგზაო განყოფილებასთან არსებული სარეკინისგზო ტეხნიკუმისა და პროფესიონალური კურსების კურსდამთავრებულ პირთათვის ა/კ. რეკინის გზებზე სამსახურის სავალდებულო ვადა.

2. იმ პირთათვის, ვინც სტიპენდიას იღებდა ან რეკინის გზის სამსახურიდან მივლინებული იყო ტეხნიკუმში თუ პროფესიონალურ კურსებზე, სამუშაო ხელფასის სრულად ან ნაწილობრივ შენარჩუნებით, სარეკინისგზო ტრანსპორტზე სამსახურის ვადა, ტეხნიკუმისა თუ პროფესიონალური კურსების დამთავრების შემდეგ, განისაზღვროს ისეთი ხანგრძლიობით, რაც უდრის იმ ხანს, რომლის განმავლობაშიაც მივლინებული პირი ტეხნიკუმში თუ პროფესიონალურ კურსებზე იმყოფებოდა, ხოლო სტიპენდიატი სტიპენდიას იღებდა.

იმ პირთათვის, ვინც უსასყიდლოდ სწავლობდა, ერთი წლის უსასყიდლო სწავლისათვის დაწესებულ იქნეს ნახევარწლის სავალდებულო სამსახური. ამასთანავე, სტაუტობაზე გატარებული დრო არც სწავლაზი ჩაითვლება, არც სამსახურში.

3. სავალდებულო სამსახურის ვადის მომხდელ პირს რეკინის გზის აღმინისტრაცია მისცემს თანამდებობას ამ პირის მიერ მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით; ამასთანავე, უკეთუ, ერთი თვის განმავლობაში კურსის დამთავრებისა და სტაუტის გავლის შემდეგ, აღნიშვნულ პირს თანამდებობა არ მიეცა, იგი განთავისუფლდება სავალდებულო სამსახურისაგან.

4. ის, ვინც მოთლად თავს არიდებს სავალდებულო სამსახურს ამა დადგენილებით დაწესებულ ვადაზე ან სრულად არ მოიხდის სამსახურის ვადას, მოვალეა აუნაზღაურის რეკინის გზას მასზე გაწეული ხარჯი როგორც ჯამაგირისა თუ სტიპენდიის მიცემით, ისე სწავლების საშუალო ღირებულების მიხედვით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც იგი ჯამაგირს თუ სტიპენდიას იღებდა, ხოლო იმ დროის გამოკლებით, რაც მან რეკინის გზის სამსახურით აუნაზღაურა.

5. უფლება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს დაწვრილებითი ინსტრუქცია იმა დადგნილების განსავითარებლად და დასამატებლად.

6. ამა დადგენილების მოქმედება გაურცელებულ იქნეს ყველა იმ პირზე, ვინც დაამთავრა ტეხნიკუმი და პროფესიონალური კურსები, დაწყებული 1928-29 სასწავლო წლიდან.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. აშხარცუმიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. იაკუბოვი.

1928 წ. ნოემბრის 19. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 291 №-ში 1928 წ. დეკემბრის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და თანამდებობისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

254. საგადასახადო კომისიების შედგენილობის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგადასახადო კომისიების დებულების სამოქმედო შემოღების შესახებ“ 1928 წ. მაისის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა და თვით „საგადასახადო კომისიების დებულების“ თანახმად (სსრკ კრ. 1928 წ. 29 №-რი, მუხ. 261 და 262) — ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სარეწავი და საშემოსაელო გადასახადებისა, ზედმეტი მოგების გადასახადისა და სალერბო გამოსალების გამო აღძრული საქმეების გადასაწყვეტად დაწესებულ იქნეს საგადასახადო კომისიების შემდეგი შედგენილობა:

საუბნო საგადასახადო კომისია.

1. საუბნო საგადასახადო კომისიაში წევრებიდან შედიან: ადგილობრივი ოლმასრულებელი კომიტეტის ორი წარმომადგენელი, შინა-ვაჭრობის მომწერიგებელი ადგილობრივი ორგანოს ერთი წარმომადგენელი, საღაც ასეთი ორგანო არსებობს, და სარეწავი და საშემოსავლო გადასახადების გადამხდელთა ორ-ორი წარმომადგენელი.

2. გადამხდელთა წარმომადგენლებს დანიშნავს სამაზრო ილმასრულებელი კომიტეტი (ან მისი შესაფერი ორგანო) სამაზრო საფინანსო განყოფილების (ან მისი შესაფერი ორგანოს) წარდგენით:

ა) სარეწავი გადასახადისათვის: ერთს იმ კანდიდათა რიცხვიდან, რომელთაც დაასახალებენ კომპერატიული ორგანიზაციები, მეორეს — კერძო მოვაჭრეთა

რიცხვიდან—საბირუე ან საბაზრო კომიტეტის კანდიდატთა სიის მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ეს კომიტეტები არ არსებობს, პირდაპირი გადასახადების ინსპექტორის მიერ შედგენილი სიის მიხედვით;

ბ) საშემოსახადისათვის: ერთს—კერძო მოვაჭრეთა რიცხვიდან საბირუე ან საბაზრო კომიტეტის მიერ შედგენილი კანდიდატთა სიის მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ეს კომიტეტები არ არსებობს,—პირდაპირი გადასახადების ინსპექტორის მიერ შედგენილი სიის მიხედვით, მეორეს—იმ გადამხდელთა რიცხვიდან, რომელნიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთა მე-2 №-ის განაწერით,—პირდაპირი გადასახადების ინსპექტორის მიერ შედგენილი კანდიდატთა სიის მიხედვით.

კომპერატიული ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების თაობაზე აღძრულ საქმეთა განხილვაში, გადამხდელთა შემოაღნიშნული წარმომადგენლების ნაცვლად, მონაწილეობას მიიღებს კომპერაციის ორი წარმომადგენელი, რომელნიც დანიშნულ იქნებიან კომპერატიული ორგანიზაციების მიერ შედგენილ კანდიდატთა სიის მიხედვით.

განსაკუთრებული საგადასახადო კომისია.

3. განსაკუთრებულ საგადასახადო კომისიაში წევრებად შედიან: ადგილობრივი საქალაქო საბჭოს (ავტონომიურ რესპუბლიკებში—იქ, სადაც საქალაქო საბჭო არ არსებობს,—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს), შინა-გაჭრობის მომწესრიგებელი რესპუბლიკანური ორგანოს, რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თთოთ წარმომადგენელი, სათანადო უბნის პირდაპირი გადასახადების ინსპექტორი და გადამხდელთა სამი წარმომადგენელი.

4. გადამხდელთა წარმომადგენელი დაინიშნებიან: ერთი ადგილობრივი კომპერატიული კავშირებისაგან, მათი ურთიერთი შეთანხმებით, ხოლო დანარჩენი ორი—სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით (ავტონომიურ რესპუბლიკაში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარდგენით); ამასთანავე, ერთი—სახელმწიფო საწარმოთაგან—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ შედგენილი კანდიდატთა სიის მიხედვით და მეორე—იურიდიული პირებისაგან—საბირუო კომიტეტის მიერ შედგენილი კანდიდატთა სიის მიხედვით, ხოლო იქ, სადაც საბირუო კომიტეტი არ არსებობს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის (ავტონომიურ რესპუბლიკაში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის) მიერ შედგენილი კანდიდატთა სიის მიხედვით.

სამაზრო საგადასახადო კომისია.

5. სამაზრო საგადასახადო კომისიაში წევრებად შედიან: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ორი წარმომადგენელი, საფინანსო განყოფილების გამგე ან ამავე განყოფილების საგადასახადო ქვეგანყოფილების გამგე, შინა-გაჭრობის მომწესრიგებელი ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი, სადაც ეს ორგანო არსებობს, და სარეწავი და საშემოსავლო გადასახადების გადამხდელთა

ორ-ორი წარმომადგენელი, რომელთაც დანიშნავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი—სამაზრო საფინანსო განყოფილების წარდგენით ამა დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ.

ՀԵՏԱՊՆԵՐԸ ԿԱՆԱԿԻ ՍԱՀԱԾԱՏԱԿԱԾՈ ԿՈԹՈՍՈԱ.

6. რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში წევრებად შედიან: სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგადასახადო სამმართველოს უფროსი (ავტონომიურ რესპუბლიკაში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო ქვეგანყოფილების გამგე), შინა-გავრობის მომწერლი რეგისტრი წარმომადგენელი და სარწმუნო და საშემოსავლო გადასახადების გადამხდელთა თვითეული კატეგორიის ორ-ორი წარმომადგენელი (სახელმწიფო საწარმოთა, კომპერატიულ ორგანიზაციათა და კერძო პირთაგან), რომელთა შორის სახელმწიფო საწარმოთა და კომპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი დაინიშნებიან ამა დადგენილების მე-4 მუხ. წესისამებრ, ხოლო კერძო პირთა წარმომადგენელთ დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსაბირეულ კომიტეტის მიერ,—ხოლო იქ, სადაც ეს კომიტეტი არ არსებობს—ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ (ავტონომიურ რესპუბლიკაში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ),—შედგენილი კანციდატთა სიის შინელვით.

II. ამა დაღენილებაში აღნიშნული საგადასახადო კომისიების თვითეულ-
წევრს დანიშნება თითო მოადგილე მისი მაგიერობის გასაწევად მის არყოფ-
ნის დროს.

III. საგადასახადო კომისიის წევრები გადამხდელთაგან დაინიშნებიან ერთი წლის ვადით, ხოლო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელი ითვლებიან კომისიაში, ვიდრე მიმავლინებელი დაწესებულება თუ ორგანიზაცია უკან არ გაიწვევს მათ.

IV. საგადასახადო კომისიის სხდომაში მონაწილეობას იღებენ იმ გადასახადის გადამხდელთა და იმ საწარმოთა კატეგორიის წარმომადგენელი, რომელთაც განსახილველი საქმე შეიხება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფოსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. ამჩარცუმიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. ია. გომია.

1928 წ. ნოემბრის 19. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია-ვოსტოკა“-ს 292 №-ში 1928 წ. დეკემბრის 19-ს.

დაღენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსურს სახალხო კომისართა
საბჭოსი.

255. სამხედრო და საჭლვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული საცხოვრებელი სახლებიდან აღმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ.

რათა წარმატებით განხორციელებულ იქნეს ღონისძიებანი იმ საბინაო კრიზისის თავიდან ასაკილებლად, რასაც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მე-თაურთა შედგენილობა განიცდის, და თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქებერელის 15-ს დადგენილებისა „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის—მათდამი მიკუთვნებული სახლებიდან—აღმინისტრატიული წესით გამოსახლების უფლების მინიჭების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-13 №-რი, მუხ. 110), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღმინისტრატიული წესით სადგომებიდან მოქალაქეთა გამოსახლების შესახებ ა/კსუსრ ტერიტორიაზე მომქმედ კანონდებულებათა დამატებად—სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს მიეცეთ უფლება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიუთვნებული სახლებიდან მოქალაქეთა აღმინისტრატიული წესით გამოსახლებისა მი აუცილებელი პირობით, რომ გამოსახლებულ პირს მიეცეს ბინა, რომლის საცხოვრებელი სივრცე არ უნდა იყოს მი ადგილს ასებულ ფაქტიურ ნორმაზე ნაკლება.

შენიშვნა. გმრომელთა კატეგორიის გამოსასახლებელ პირს, გინის გარდა, უნდა მიეცეს აგრძელვა სატრანსპორტო საშუალება.

2. გამოსასახლებელ პირთათვის საჭირო საცხოვრებელ სივრცეს გამოჰყოფს აღვილობრივი საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური ფონდის სივრციდან.

შენიშვნა. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანო შეიტანს ადგილობრივ საბჭოში წინასწარ განცხადებას, რაც დაკავშირდებულ უნდა იქნეს ერთი თვის ვადახე.

3. გამოსახლებას მთავრებნ მიღლივის ორგანო სამხედრო და საზოგადო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახლების გამგე ორგანოს სათანადო განცხადების მიხედვით.

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი
ქომიტეტის თავმჯდომარე ს. კახიანი.

ა/კსფოს სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. აბდარეკუმიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კამიოტერიის მთავარი ა. შავგრლოვი.

1928 წ. დეკემბრის 17. ტფილის სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტკა“-ს 294 №-ში 1928 წ. დეკემბრის 21-ს.

**დადგენილება № 160 ა/კსფსრ შრომის სახალხო
კომისარისათვის.**

1928 წ. დეკემბრის 19.

**256. უქმი-დღეებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეების
შესახებ.**

შრომის კანონთა კოდექსის 111, 112 და 113 მუხლების თანახმად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სავალდებულოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეფარდება შემდეგი:

ა. უქმი-დღეებისა: ა) იანვრის 1-სა—ახალი წელი; ბ) იანვრის 22-სა—1905 წ. ნოემბრის 9-ს ხსოვნისა და ვ. ი. ლენინის (ულიანოვის) ხსოვნის დღე; გ) მარტის 12-სა—თვითმპყრობელობის დამხმაბა; დ) მარტის 18-სა—პარიზის კომუნის დღე; ე) მაისის 1-ლისა და მე-2-სა ინტერნაციონალის დღეები; ვ) ნოემბრის 7 და 8-სა—პროლეტარული როვოლიუციის დეები; ზ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავი: აპრილის 28—აზერაბაიჯანის ტერიტორიაზე; ნოემბრის 29—სომხეთის ტერიტორიაზე; თებერვლის 25—საქართველოს ტერიტორიაზე.


ბ. არასამუშაო დღეებისა—სექტემბრის 20-სა—ბაქოს 26 კომისრის ხსოვნის დღე.

2. დასვენების დანარჩენ განსაკუთრებულ დღეებს, რიცხვით ოთხს, დააწესებული ყოველი წლისთვის ცალკე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები, რესპუბლიკუნურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით, ადგილობრივი პირობებისა, მოსახლეობის შედგენილობისა, ხალხის დღესასწაულისა და სხვ. მიხედვით.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული დღეების წინა დღეებში, ბაქოს 26 კომისრის ხსოვნის დღის (სექტემბრის 20) გამოკლებით, სამუშაო დღე არ უნდა აღმენტებოდეს 6 საათს, ხოლო მე-2 მუხლში იღნიშნული დღეებისა და ბაქოს 26 კომისრის ხსოვნის დღის (სექტემბრის 20) წინა დღეებში სამუშაო დღე არ შემოკლდება.

4. უქმესა და დასვენების განსაკუთრებულ დღეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს შეუწყვეტლივ შემდეგ საწარმოში: წყალსადენში, ელექტროსადგურში, სავადმყოფოში, მორიგე ამზულატორიასა და აფთიაქში, ტელეგრაფში, ტელეფონში, სახანძარო რაზმში და აგრძოვე ყველა იმ საწარმოში, რომლის გაჩერებაც, მისი მუშაობის ხასიათის მიხედვით, არ შეიძლება.

5. უქმეები: საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე და ძირითადი კანონის (სსრკ კონსტიტუცია) მიღებული დღეს იდლესასწაულება უახლოეს კვირადღეს; ამასთანავე, საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე იდლესასწაულება სექტემბრის პირველ კვირადღეს, ხოლო სსრკ კონსტიტუციის მიღების დღე—ივლისის პირველ კვირადღეს.



შენიშვნა. ა/ქსფსრ-ის იმ აღგილებში, სადაც ყოველკვირეული დას-
ვენების დღე პარასკევი ითვლება, აღნიშნული დღესასწაულები გადაიტა-
ნება სათანადო თვის პირველი პარასკევისათვის.

6. უკეთუ სასყიდელი თვიურად გაიცემა, არავითარი გამოკლება თვიური
გასამრჯველოდან უქმებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეებისათვის
(1 და 2 მუხ.), აგრეთვე უქმისა და ყოველკვირეული დასვენების დღის წინა
დღეების ორი საშელავათო საათისათვის არ შეიძლება.

7. უკეთუ სასყიდელი დღიურად გაიცემა, ყოველკვირეული დასვენების
დღისა და უქმის წინა დღეს სასყიდელი შემოკლებული სამუშაო დრო-
სთვის გაიცემა სრული დღიური განაკვეთით, გარეშე ყოველგარი გამოკლებისა
ორი საშელავათო საათისათვის.

8. უქმისა და ყოველკვირეული დასვენების დღის წინა დღეების სა-
შელავათო საათებისათვის. (შრ. კან. კოდ. 109 და 111 მუხ.) სასყიდლის გა-
ცემისა და ანგარიშის გასწორების წესი იმათვის, ერთ ნაკრობით მუშაობს ან სას-
ყიდელს საათობით იღებს, განისაზღვრება კოლექტურ და შრომის ხელშეკ-
რულებაში.

უკეთუ ეს სასყიდლის ზედნართი მოთავსებულია ნაჭრობითი შენაფასში ან
სატარიფო განაკვეთში, ამაზე ნათქვამი უნდა იყოს კოლექტურ ან შრომის
ხელშეკრულებაში.

9. გასამრჯველოს რაოდენობა ყოველკვირეული დასვენების დღეს, დასვე-
ნების განსაკუთრებულ დღეს და უქმე-დღეს მუშაობისათვის არ შეიძლება
იყოს ნორმალური გასამრჯველოს ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები. ყოველკვირე-
ული დასვენების დღისა და უქმი-დღის წინა დღეს საშელავათო საათებში
მუშაობისათვის სასყიდელი გაიცემა არა ნაკლებ ნორმალური გასამრჯველოს
ერთიდანახევრის რაოდენობისა.

10. უკეთუ ყოველკვირეული დასვენების დღეს და უქმე-დღეს მუშაო-
ბისათვის მშრომელს დასასენინებლად 42 საათი მიეცა იმავე კვირის შემდეგ
დღეებში, ან დასვენების განსაკუთრებული დღე შეცვალა სხვა გამრასასვლელი
დღით, სასყიდელი მიეცემა ერთმაგი რაოდენობით.

საშელავათო საათების სასყიდლის ზედნართის ნაცვლად იმავე კვირის
შემდეგ დღეებში დასვენებისათვის სათანადო საათების მიცემა,—უკეთუ დაცულ
არ იქნება ყოველკვირეული, 42 საათის განმავლობაში შეუწყვეტელი დასვენება
და უქმი-დღის განმავლობაში შეუწყვეტელი დასვენება,—არ შეიძლება.

11. ა/ქსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ სატრანსპორტო საწარმოზე ვრცელ-
დება დასვენების განსაკუთრებული დღეები (ამა დადგენილების მე-2 მუხ.), რა-
საც დააწესებს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის
შრომის სახალხო კომისარიატი, საწარმოს სამყოფელი აღგილის მიხედვით.

12. ამა დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალის
ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. თებერვლის 15-ს თარიღისა
და მე-11 №-ის დადგენილება „უქმი და დასვენების განსაკუთრებული დღეების
შესახებ“ (გამოქვ. „შრომის კანონ. ვესტნ.“-ის მე-3 №-ში 1926 წ.).

13. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკე-

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/ქ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განც. გამგე ათაბეკოვი.

შეთანხმებულია ა/ქ. პროფ. კავშირთა

საბჭოსთან: შეფტელი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 295 №-ში 1928 წ. დეკემბრის 22-ს.

განმარტება № 7 ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. დეკემბრის 19.

257 შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტების მიხედვით დათხოვნის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს თანაბარი პრაქტიკა იმ საქმეთათვის, რომელიც შეეხება მშრომელთა დათხოვნას შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტებისა და სსრკ ცენტრალური ომასრულებელი კომიტეტისა და სასახალხო კოიისართა საბჭოს მიერ „მომრიგებელ-სამედიატორო და სასამართლო წესით შრომის კონფლიქტების განხილვის შესახებ“ 1928 წ. აგვისტოს 29-ს დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-12 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად, ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. შრომის კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტების მიხედვით მშრომელთა დათხოვნის საქმებისათვის შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეფარდება სავალდებულოა.

2. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტების მიხედვით და მომრიგებელ-სამედიატორო და სასამართლო წესით კონფლიქტების განხილვის წესების მე-12 მუხლის „გ“ პუნ. თანახმად მშრომელთა დათხოვნა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, უკეთ დამტკირავებლის მიერ საკითხი ერთ-ერთი აღნიშნული პუნქტის მიხედვით მშრომელის დათხოვნის თაობაზე შეტანილია განსახილველად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში და ამ კომისიაში მიღწეულია შეთანხმება დათხოვნის შესახებ.

3. უკეთ დამტკირავებელმა მშრომელი დაითხოვა შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტების თანახმად, ხოლო შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. 1-ლი შენიშვნის დარღვევით, ე. ი. არ მიმართა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას და არ მიიღო მისგან სანქცია დათხოვნის შესახებ, ან მიმართა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, მაგრამ მშრომელი დაითხოვა სანქციის მიუღებლად,—ამ შემთხვევაში, ვინაცობაა მშრომელი მიმართავს შემ-

ფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ან შრომის სასამართლოს—თანამდებობაზე აღ-
დგენის შესახებ,—საკითხი შეიძლება აღძრულ იქნეს მხოლოდ მშრომელის უკა-
ნონოდ დათხოვნის შესახებ და უკანონო დათხოვნაში დამნაშავე დამჭირავებლის
წინააღმდეგ აღძრულ უნდა იქნეს დევნა სისხლის სამართლის წესით.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/ქსფსრ შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და
სატარიფო-საკონფლ. განც. გამგე სიზოტენკი.

შეთანხმებულია ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან: ოდილავაძე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 298 №-ში 1928 წ. დეკემბრის 26-ს.

დადგენილება ამინისტატასის ცენტრალური აღმასრულულებელი დელიკასიების გადასახელების შესახებ.

258. ტფილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური სექციისათვის
პრემიის მიცემის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გაეცნო საქართ-
ველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მასალას—საქალაქო
საბჭოების საუკეთესო სექციისათვის 1928 წელს ჩატარებული საკონკურსო კამ-
პანიის შედეგების შესახებ—და სამართლიანად მააჩნია საქართველოს ცენტრა-
ლური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება—ტფილისის საქალაქო საბ-
ჭოს კომუნალური სექციის გამოყოფის შესახებ, როგორც საუკეთესო და სამა-
გალითო სექციისა საქართველოს საქალაქო საბჭოთა სექციებს შორის. თავისი
მხრით ამიერკავკასიის ცენტრალური იღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ
სთვლის აღნიშნოს დასახელებული სექციის მუშაობაში შემდეგი მიღწევანი:

მთლად სექციის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს სექციის ბიურო; ბიუ-
როს შედგენილობა: დაზგის მუშა—9; მოსამსახურე—4; წითელარმიელი—1;
ყველა მათ შორის 8 წევრია სრულიად საკავშირო კომუნ. პარტიის (ბ).

სექციის პყავს რვა კომისია, რომელნიც მიჩნილ არიან კომუნალური გან-
ყოფილების ქვე-განყოფილებებისათვის: 1) სასაკლაო, 2) აბანოები, 3) წყალსა-
დენი, 4) კანალიზაცია, 5) ტრამვაი, 6) ტფილისის ელექტრო-სადგურის სამ-
მართველო, 7) ტფილისის სახალხო მამულების სამმართველო და 8) კეთილ-
მოწყობის ქვე გამნოვილება.

ამის გარდა, სექციის პყავს მილიციის სარაიონო კომისიები ქალ. ტფილი-
სის სამილიციო რაიონების რიცხვის მიხედვით, რაც სრულიად ახალი რამ არის
ა/ქსფსრ საქალაქო საბჭოების მუშაობაში.

სექციამ მიუჩინა დიდ საქალაქო საწარმოთ 6 დეპუტატი და მოაწყო სა-
დეპუტატო მაგიდები.

განსაკუთრებულ შემთხვევაში სექციის ბიურო გამოჰყოფს ხოლმე საქალა-
ქო საბჭოს წევრთაგან სპეციალურ კომისიას სასწრაფო და მნიშვნელოვანი სა-
კითხების გამოსაკვლევად.

კომუნალურ სექციაში შემავალი ზემოდ ჩამოთვლილი ორგანიზაციების
მუშაობას აქვს გეგმაშეწონილი და სისტემატიკური ხასიათი.

სექციისა და ქვე-სექციების ოქმები ისეთი ფორმით და ისეთი სისახსით
არის წარმოებული, რომ ამ ოქმებში, როგორც სარკეში, ისე გამოიხატება კო-
მუნალური სექციის მთელი მუშაობა; ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას
იქცევს ის გარემოება, რომ სექცია არა კმაყოფილდება თავისი მუშაობის მარ-
ტო იქმებში აღნიშვნით და თვალყურს ადევნებს, ხორციელდება თუ არა და
როგორ ხორციელდება მისი დირექტორები. ამის შედეგია, ის რომ 80 პროცენ-
ტი კომუნალური განყოფილების სექციის პრაქტიკული წინადადებისა ხორ-
ციელდება.

კომუნალური სექციის მუშაობა მიმდინარეობს გაძლიერებული ტექნიკით და
დღე-მუდამ მეტი სიცოცხლე ეტყობა: მის მუშაობაში ეგმიან სულ ახალ-ახალი
ძალები მშრომელთა აქტივიდან საბჭოს არაწევრთაგან; ეს ძალები მხურვალე ინ-
ტერესით ეპყრობიან კომუნალური სექციის მუშაობას, მონაწილეობას იღებენ ამ
მუშაობაში და ეხმარებიან მას იმ ნაკლთა ძირიანად აღმოსახვერელად, რაც
კიდევ აქვს ქალაქის კომუნალურ მეურნეობას.

სექციაში სულ 600 წევრია, მათ შორის 400 საქალაქო საბჭოს წევრი;
დანარჩენები საბჭოს არაწევრნი არიან, დაზღვის მუშები.

სექციისა და ქვე-სექციების კრებებს ესწრება ყველა მონაწილეთა 90 პრო-
ცენტამდე; ამასთანავე, თვითეული მათგანი მარტო უბრალო მაყურებელი-კი არ
არის, არამედ აქტიური მონაწილე სექციის მიერ აღძრული ყველა საკითხის შემუშა-
ვებაში, რაც აშკარად სჩანს იმ აურებელი კითხებებიდან, რასაც ისინი კრებებზე
იძლევიან, და აგრეთვე კამათში მონაწილეთა რიცხვიდან.

განსაკუთრებით ალსანიშნავის ქალთა მხურვალე მონაწილეობა კომუნალუ-
რი სექციის მუშაობაში. ეს მონაწილეობა გამოიხატა 11,39 პროცენტით.

კომუნალური სექციის ინიციატივით, სხვათა შორის, წარმოებულია შემდეგი
სამუშაო: ა) ქალაქის ბევრ განაპირო ადგილის გაყვანილია წყალსადენი, გაკეთე-
ბულია და გაწყობილი კანალიზაცია, ელექტრონით განათებულია მრავალი ქუჩა
და სახლი; ბ) გაყვანილია ახალი და შეკეთებულია ძველი ქუჩები, რომლებიც
წესიერად არის მოვლილი; გ) შეკეთებულია ქალაქის კუთხვნილი სახლები და ქა-
ლაქის აბანოები, ნომრების რიცხვის გადიდებით; დ) ქალაქის განაპირო აღგი-
ლებში შენდება ტყეები, ბაღები, სკვერები; ე) დიდი ყურადღება აქვს მიქცეული
მუშათა ბინების მშენებლობას; ვ) შემოღებულია ტრამვაზიზე შელავათიანი ტარი-
ფი მუშებისა და წითელარმიელებისათვის; ზ) მიღებულია ღონისძიება ტრამვაზი-
ზე შელავათიანი ტარიფის შემოსაღებად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტე-
ბისათვის, უმთავრესად მუშათაგან და ზოგიერთი მათგანისათვის უფასო ბილე-
ბის დასარიგებლად; თ) მიღებულია ღონისძიება განაპირო აღგიღებში მოქალა-
ქეთავან სააღნაგოდ მიწის ნაკვეთების თვითნებისად მითვისების საკითხის მოსა-
წესრიგებლად, რისთვისაც იმართება მოქალაქეთა მასიური კრებები და ეძლე-

ვა მათ განმარტება, რომ ასეთი მოვლენა ყოვლად მიუღებელია და შეუწყისარებელი; ი) კომუნალური სექციის მიერ მიცემულია წინადადება, რათა მიღებული იქნეს სათანადო ღონისძიება განაპირო აღვილებში თავისუფალი მიწები დაგეგმილ და მსურველთავის იჯარით გაცემული იქნეს.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე კომუნალური სექციის მჭიდრო თანაშრომლობა საქალაქო საბჭოს სხვა სექციებთან და მისი ყოველდღიური მუშაობის პროცესში ზოგიერთი იმ საკითხების ნაკლის გამოაშვარავება, რაც სხვა სექციების კომპეტენციას შეაღენს.

სექციის სრულის სისწორით შეენებული აქვს იმ როლის აზრი და მნიშვნელობა, რომლისათვისც იგი მოწოდებულია ქალაქის კომუნალურ მეურნეობაში. სექციის გათვალისწინებული აქვს სწორე გზა თავისი მუშაობისა; იგი ხელს უწყობს კომუნალურ განყოფილებას ყველა იმ ნაკლის გამოსასწორებლად, რაც კომუნალურ მეურნეობაში მოიპოვება; იგი ინტერესს უღიძებს ქალაქის მუშაობათა მასშებს კომუნალური საკითხებისადმი, იზიდავს მათ კომუნალურ მეშაობაში მონაწილეობის მისაღებად და აჩვევს მათ აქტიურ და ორგანიზაციულ მოქმედებას.

აღნიშნავს-რა ტფილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური სექციის ნაყოფიერ მუშაობას, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მაღლობას უცხადებს მთლად სექციის შედგენილობას და მის ხელმძღვანელთ სექციის ბიუროს სახით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1928 წ. დეკემბრის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 299 №-ში 1928 წ. დეკემბრის 27-ს.

დადგენილება № 83 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

259. ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად არსებული ფონდების დებულების შეცვლის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის საფუძველთა შესახებ“ 1928 წლის აგვისტოს 10-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 52 №-რი, მუხ. 451) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად არსებული ფონდების 1928 წ. პპრილის 8-ს დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ.

მე-10 №-რი, მუხ. 113) მე-10 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები შეიცვალოს და მი-
ღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ა) კონკრეტული ცენტრებისა, კონკრეტული კავშირებისა (სასოფლო-
სამეურნეო საკრედიტო კავშირების გამოკლებით), მუშათა ცენტრალური კონ-
კრეტული კავშირებისა, საქალაქო და სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებრის
წმინდა მოგების სავალდებულო ყოველწლიური ანარიცხი არა ნაკლებ 5%-ს
როდენობისა;

ბ) ქვედა ქსელის ისეთი კონკრეტული ცენტრების (სასოფლო-სამეურნეო საკრედი-
ტო ამხანგობების გარდა) წმინდა მოგების ანარიცხი, რომელიც „ა“ პუნქტში
არ არიან აღნიშნული, უკეთუ ეს მოვალეობა დაეკისრებათ მათი გამარტინანებე-
ლი კონკრეტული ცენტრების დადგენილებით“.

„ა“ და „ბ“ პუნქტების შენიშვნა უცვლელად დარჩეს.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. ამბარცუმიანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბათუმე.

1928 წ. დეკემბრის 20. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 300 №-ში 1928 წ. დეკემბრის 28-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი დადგენილებელი კომიტეტისა

260. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მიერ „ადგილობრივ საჭიროებათა დაქმაყოფილების სფეროში
გლეხთა მოსახლეობის უფლებების თაობაზე“ 1927 წ. იან-
ვრის 31 თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების
შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იდგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის
იანვრის 31-ს დადგენილება „ადგილობრივ საჭიროებათა დაქმაყოფილების სფე-
როში გლეხთა უფლებების შესახებ“ (ა/ქსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-რი,
მუხ. 32) გაუქმებულ იქნეს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1927 წ. დეკემბრის 17. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 301 №-ში 1928 წ. დეკემბრის 29-ს.

**డాయగెనిల్ ఏబా నె 84 అ/ప్రసార సాహస్రాం కౌమిదారటా
సాధకాలి.**

**261. అ/ప్రసార త్రైరితోరించే 1928-29 సాథేనాట్టేరం వీలు వ్యుల్‌స
గామోసాల్ఫెబిస డాఫ్టేసెబిస శేసాంగెద.**

సస్రీ ప్రేబెట్రాల్ఫురో అమాసాల్ఫెబెల్లి క్రమిట్రేటిసా దా సాథాల్ఖో క్రమిసారటా సాధక్షాల్ సాధక్షాల్ 1928 ఫి. ఎగ్జిస్ట్రోల్ లీ-స డాఫ్టేనిల్లెబిట (సస్రీ కాన. క్ర. 1928 ఫి. 49 నె-ఱి, మ్యి. 435) "వ్యుల్‌స గామోసాల్ఫెబిసాట్వోస" డామిత్రొప్రెబ్ముల్లి డెబ్ముల్లెబిస తానాథమాం —అ/ప్రసార సాథాల్ఖో క్రమిసారటా సాధక్షా అంగ్జెబ్సి:

డాయోపాల్పస అ/ప్రసార శేడ్యుల్‌సాంబాశి శేమావాల్లి ర్యేస్‌బ్ముబ్లోయ్‌బిస సాథాల్ఖో క్రమిసారటా సాధక్షాబిస గామోసాప్రెబ డాఫ్టేనిల్లెబా వ్యుల్‌స గామోసాల్ఫెబిస డాఫ్టేసె-బిస శేసాంగెబ శేమాల్నిశ్చుల్లి డెబ్ముల్లెబిసా దా శేమంగెగి డిర్యేక్టొప్పిబిస మి-శేడ్యోపిట:

1. వ్యుల్‌స గామోసాల్ఫెబి గామోసాంగారొశేబా దా గాంధాక్షంగెబా దా సా-ఫాల్మాక్షా త్రీపిసి డాసాబ్లోబ్ముల్ అంగొప్పెబశి, అగ్రోత్వో సంఘల్లాడ వ్యూల్‌మమమ్మేబ సా-షారమంత, ర్యామేల్నిప్ర ఏర్తించిన సాసంఘల్లా-సామ్యుఖ్యో గాంధాసాంగిత అన బెగ్రేబించిన, ర్యాంసి గ్యోబసా దా శినొశ్చరి సామొర్ఱోబిసాట్వోస వ్యుల్‌స మంసాంగ్యోబ్లోగ్ శేమంగె సా-ఫ్యుమ్మోబ్లోబింగ్:

అ) మిటిసి సెవాండాసెవా కార్యోగారించిన బాయ్యెత్తెబిసాట్వోస—త్వింట్యోల్ క్వాఫర్. మే-ఱించ్బి;

బ) అంగొప్పెబారింగ్ త్రీపిసి వ్యూల్‌మమమ్మేబ సాషారమంతాట్వోస—త్వింట్యోల్ త్వాల్-శ్యే, త్వింట్యోల్ వాల్ప్రేబ్స్ అన వ్యువిం మంఠగ్వోశ్యే, రొసంత్విసాంప్ర వ్యూల్మోబ్ముల్ జ్ఞండా ఇం-చేస గాంచ్యోత్వోబిస డింట్యోర్ఱేబ్మొప్రాంపిం మింబెడ్పొం, వ్యుల్లి మింప్రె అంబెశి వార్ధోబా త్వు సెవా అంబెశి;

గ) సాంగ్యోబ్బోరం త్రీపిసి వ్యూల్‌మమమ్మేబ సాషారమంతాట్వోస—త్వింట్యోల్ మాల్మాశ్యే, రొసంత్విసాంప్ర వ్యూల్మోబ్ముల్ జ్ఞండా ఇంచేస గాంచ్యోత్వోబిస డింట్యోర్ఱేబ్మొప్రాంపిం మింబెడ్పొం, వ్యుల్లి మింప్రె అంబెశి వార్ధోబా త్వు సెవా అంబెశి;

డ) ర్యాంసి గ్యోసిట్వోస దా శినొశ్చరి సామొర్ఱోబిసాట్వోస వ్యుల్‌స గామ్యోబ్బోబాశ్యే —అ మింబెబిసాట్వోస మంసాంగ్యోబ్బోల్ వ్యుల్‌స అంబ్సుశెవిస ర్యేబ్మొబ్బోరి శేసాంగ్యోబ్లో-బిసా దా అంగ్యారి వ్యుల్‌సాంగ్యోబ్లోబిస అంగొప్పెబారింగ్ త్వాయిస్యోబ్బోబాతా మింబెడ్పొం.

శెనొశెబ్బా. అంగొప్పెబారింగ్ త్రింపొబిసి మింబెడ్పొం శెప్పొబ్బా డామ్యార్-బ్యుల్ ఇంచేస వ్యుల్‌స గామోసాల్ఫెబిస గామోసాంగారొశెబిసా దా గాంధాంగ్యోగ్వోబిస సెవా వ్యుల్ ను, „ప“ దా „ప“ లొట్రేర్హోబశి అంబొబ్బోల్ ఉబొప్పేబ్బిసాట్వోస.

2. వ్యుల్‌స గామోసాల్ఫెబి నెండివిప్పుఅల్ఫుర్ మెయ్యుర్నోబ్బోబశ్యే సంఘల్లాడ ప్రాల్యోల్ అంమినిసిత్రొప్పిల్ - త్రైరితోరించాల్ఫుర్ ఏర్తోప్పుల్సిసాట్వోస అన ప్రాల్యోల్ వ్యుల్‌స సిస్ట్రోమిసాట్వోస గాంసాంగ్యోబా వ్యుల్‌స గామోసాల్ఫెబిస డెబ్ముల్లెబిస మే-7 మ్యథ్లుసి తానాథమాడ.

3. ప్రాల్యోల్ అంమినిసిత్రొప్పిల్ - త్రైరితోరించాల్ఫుర్ ఏర్తోప్పుల్సిసాట్వోస గామోసాల్ఫెబిస సాయారటం క్రమింగ్బ్రోబ్బిస గాంచ్యోబిస డాంగ్రంసి సామొర్ఱో అంగొరిశి

გაეწიოს იმ საექსპლოატაციო ხარჯების თანხებს, რაც ამ ერთეულებს ნამდვილად დაედებათ. ისეთი შესწორება, რაც გაადიდებს ან შეამცირებს წყლის გამოსალების რაოდენობას, შეიძლება შეტანილ იქნეს იმის მიხედვით, თუ რამდენად მძიმეა მოსახლეობის ნატურალური დაბეგვრა საირიგაციო საქმისათვის და, საერთოდ, ეკონომიკურად რამდენად ძალოვანი და გადახდის უნარის მქონენი არიან უწყებული რაიონის მეურნეობანი.

4. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ წყლის კოლექტივებში (სამელიორაციო ამხანაგობანი და სხვ.) შემავალ მეურნეობათათვის წყლის გამოსალების მონაკლები იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობას იღებს უწყებული კოლექტივი მის მეურნეობრივ გამზებლობაში გადაცემული წყლის სისტემის ან ამ სისტემის ნაწილის საექსპლოატაციო ხარჯებში.

5. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ გაანთავისუფლონ სრულიად ან ნაწილობრივ წყლის გამოსალებისაგან მეურნეობათა და საწარმოთა ესა თუ ის კატეგორიები, იმ პირობით-კი, რომ წყლის გამოსალების საერთო თანხამ უწყებულ რესპუბლიკაში სრულად დამტაროს წყლის გამოსალების დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ყველა საექსპლოატაციო ხარჯი.

6. წყლის გამოსალების გადახდის უკიდურეს ვადად დაწესებულია 1929 წლის თებერვლის 15.

შენიშვნა. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ სხვა ვადებიც, ხოლო არ-კი გააგრძელონ ამა მუხლში აღნიშნული ვადა.

7. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები განსაზღვრავენ საჩივართა და შუამდგომლობათა შეტანის ვადებსა და განხილვის წესს წყლის გამოსალების ზემოაღნიშნული დებულების მე-18 მუხლის დაცვით.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ ნაზარეთიანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1928 წ. დეკემბრის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 301 №-ში 1928 წ. დეკემბრის 29-ს

დადგენილება ამიერქავებასის ცენტრალური აღმასრულებელი ბეჭი კომიტეტისა.

262. ამხ. ა. მ. ნაზარეთიანისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარებელის მოადგილის მოვალეობის აღსრულების დაკისრების შესახებ.

ამიერქავებასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

რადგანაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. დ. პუსეინოვი გაემგზავრენ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-IV სესიაზე და რადგანაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ი. აბარუმიანი ავად არის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის დროებით აღსრულება დაკისროვანის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ამხ. ა. მ. ნაზარეთიანს.

ამიერქავებასის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ამიერქავებასის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1928 წ. დეკემბრის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 302 №-ში 1928 წ. დეკემბრის 30-ს.

**დადგენილება № 155 ა/კსფსრ შრომის სახალხო
კომისარიატისა.**

1928 წ. დეკემბრის 3.

263. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „ანგარიშგა-
სწორების წიგნაკების თაობაზე“ 1924 წ. ივლისის 23-ს
თარიღითა და 107 №-ით გამოცემული დადგენილების მე-6
მუხ. გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „ანგარიშგასწორების წიგნაკების შესახებ“ 1924 წლის ივლისის 23-ს თარიღითა და 107 №-ით გამოცემული დადგენილების (შრომის მოქმედი კანონმდ. 1926 წ., გვ. 126) მე-6 მუხ. გაუქმებულ იქნება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარის
მაგირ, კოლეგიის წევრი შახსუფარიანი.

ა/კ. შრ. სახალხო კომისარიატის საერთო-
საორგ. განყოფ. გამგე ათაბეკოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 280 №-ში 1928 წ. დეკემბრის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი ბეჭი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

264. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენერ:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. 23 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სახელმწიფო სარეწავი გადასახადით შემოსული საერთო თანხის ანარიცები 61 პროც. რაოდენობით ა/კსფსრ შედგენილობაში მემავალ თვითეულ რესპუბლიკაში, რაც შემდეგნაირად განაწილდება:

1) შემოსული გადასახადის 40 პროც. თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში და ავტონომიურ რესპუბლიკებში შეუვალ მახრაში ჩაირიცხება უწყებული აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ბიუჯეტში და განაწილდება ამ აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის.

შემოსული გადასახადი, ზემოაღნიშნული წესით განაწილების დროს ქალაქებისა და ქალაქების ტიპის დასახლებული ადგილების ბიუჯეტებში უნდა გადაირიცხოს უწყებული ქალაქებისა და ქალაქების ტიპის დასახლებული ადგილის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა და სასარეწაოთა დაბეგრით შემოსული გადასახადის 40 პროცენტი.

2) შემოსული გადასახადის დანარჩენ თანხებს, რაც, 1-ლ მუხლში აღნიშნული თანხების გარდა, გადარიცხულ უნდა იქნეს ადგილობრივ სახსარში, გაანაწილებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები—კუთხისამებრ—უწყებული რესპუბლიკების აღმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებს შორის, მათი საერთო ეკონომიკური და ფინანსიური მდგრამარეობის მიხედვით.

2. 23 მუხლს დაემატოს შენიშვნა მე-3 შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 3. სათემო, სადაირო და საუბნო ბიუჯეტში (ხოლო იქ, სადაც სასოფლო ბიუჯეტია და მისი თანაბარი ბიუჯეტი—ამ უკანასკენებშიაც) ჩაირიცხება (ადგილობრივ სახსარში მისაქცევი შემოსული სახელმწიფო სარეწავი გადასახადის ანგარიშზე) 50 პროც. იმ ჯარიმებისა, რაც გადახდევინებულ იქნება სოფლად სხვადასხვა საქონლის შესყიდვისათვის სარეგისტრაციო მოწმობების უქონლად.“

3. ამოშლილ იქნეს 24 მუხლის „ა“ პუნქტი და 1-ლი და მე-3 შენიშვნები და 26 მუხლისა „ა“ პუნქტი.

4. 25 მუხლიდან ამოშლილ იქნეს სიტყვაბი: „სახელმწიფო პატენტის ფასზე“.

5. 27 მუხლს დაემატოს პუნქტი „გ“ შემდეგი შინაარსისა:

„გ¹) რესტორანებისა, სასაფილოებისა, ლუდის დუქნებისა და სხვა ამ-
გვარი საწარმოს გადასახადი (მუხ. 391)“.

6. ადგილობრივი ფინანსების დებულებას დაემატოს 39¹ მუხლი შემდეგი
შინაარსისა:

„391) რესტორანებისა, სასაფილოებისა, ლუდის დუქნებისა და სხვა ამგვა-
რი საწარმოს გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით:

ა) იმ საწარმოს, რომელიც გასცემს სპირტის სასმელს (არაყს, ღვინოს და
ლუდს) ან საჭმელს და რომელიც ვაჭრობას, სათანადო ადგილობრივი ორგანოს
განსაკუთრებული ნებართვით, 22 საათის შემდეგ აწარმოებს,—ლუდის დუქნების
გამოკლებით,—არა უმეტეს შენაწერი სახელმწიფო სარეწავი გადასახადის 60
პროცენტისა;

ბ) იმ საწარმოს, რომელიც გასცემს სპირტის სასმელს (არაყს, ღვინოს
და ლუდს), ლუდის დუქნების გამოკლებით,—არა უმეტეს შენაწერი სახელმწიფო
სარეწავი გადასახადის 30 პროცენტისა.

გ) ლუდის დუქანს—არა უმეტეს შენაწერი სახელმწიფო სარეწავი გადასა-
ხადის 15 პროცენტისა.

შენიშვნა. ქალ. ტუფილისა, ბაქოს, ერევანსა, ბათუმსა და სოხუმში
ამა მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის რაოდენობა
შეიძლება დაწესებულ იქნეს ყველა იმ საწარმოსათვის, რომელიც ვაჭრო-
ბას, სათანადო ადგილობრივი ორგანოს განსაკუთრებული ნებართვით, 22
საათზე გვიან აწარმოებს (გარდა ლუდის დუქნებისა, რომელთაც გადასა-
ხადი გადაპხდებათ ამა მუხლის „გ“ პუნქტის წესისამებრ).

შენიშვნა 2. ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ ლუდის დუქნებს
ეკუთვნიან ისეთი საწარმონი, რომელიც გასცემნ იქვე ადგილობრივ და-
სალევად ლუდს, პორტერს, ელს და თაფლს, უკეთუ, ამასთანავე, არ მიი-
ტანება რაიმე საჭმელი, გარდა ცივად შესატანებელისა.

შენიშვნა 3. ამა მუხლით გათვალისწინებული გადასახადი არ გა-
დაპხდება იმ საწარმოთ, რომელიც სახელმწიფო სარეწავი გადასახადით
დაბეგრილ არიან ცენტრალიზებული წესით“.

7. 28 მუხლს დაემატომ პუჩ. „ზ¹“ შემდეგი შინაარსისა:

„ზ¹) პროფესიონალურ კატერთა და მათ შენაერთთა კულტურულ-განმა-
ნათლებელი და სასპორტო დაწესებულებანი და აგრეთვე მათ მიერ გამართული
საჯარო სანახაობა და შეჯიბრები“.

8. 31 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ა/ქსფსრ შედეგნილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალ-
ხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ გაადიდონ გადასახადის განაკვეთის
უკიდურესი რაოდენობა შენობის მატერიალური ღირებულების ნახევარ
პროცენტამდე“.

9. 35 მუხლი და მისი 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„35. რეინის გზით მოზიდული და გაზიდული ტეირთის გადასახადის რაო-
დენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) სპეციალური ტარიფების სქემით გადასაზიდ ტვირთისათვის—ხუთჯერად;

ბ) საქონელ-ბაგაჟისა, სამგზავრო სისწრაფის ტვირთისა, სამგზავრო ბაგაჟისა და ნორმალური ტარიფის პირველი ოთხი კლასის ტვირთისათვის—ორმოცდათვერადს;

გ) ცველა სხვა ტვირთისათვის—ამა თუ იმ ტვირთის 1 კილომეტრის მანძილზე გავლისათვის არსებულ სატონნო, საცალო და სავაგონო დაწყებითი განაკვეთის ხუთმეტჯერად როდენობას იმ ტარიფისა, რაც შეეფარდება ამ გადაზიდვას; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტარიფი გამოიხატება მთელი გადაზიდვის მანძილის სასყიდლის სახით,—სათანადო საერთო ტარიფის დაწყებითი განაკვეთს.

შენიშვნა 1. იმ ტვირთის გადასახადის განაკვეთი, რაც 50 კილომეტრზე არა უდიდეს მანძილს გაივლის, არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს, ხოლო იმ ტვირთისა, რაც გაივლის 51-დან 100 კილ-მდე—30 პროცენტს იმ განაკვეთისა, რომელიც 100 კილომეტრზე მეტი მანძილის გასავლელ ტვირთისათვის არის დაწესებული“.

შენიშვნა მე-2 დარჩეს წინანდელი რედაქციით.

10. 35 მუხლს დამტკიცებული შენიშვნა შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა 3. ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ტარიფებით გადასაზიდი ძირითადი საშენი მასალის გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ტარიფის ოთხჯერად განაკვეთს, ხოლო იმ ძირითადი საშენი მასალისათვის, რაც მიკუთვნებულია „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ტვირთისათვის,—ტარიფის ათჯერად განაკვეთს. აღნიშნული საშენი მასალის სის შეადგენს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მშენებლობის კომისია, სსრკ გზათა სახალხო კომისარიატთან, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით“.

11. 38 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„38. რეინის გზებით და წყალსავალი გზებით მოზიდული და გაზიდული ტვირთის ადგილობრივი გადასახადის შემოსავალი მიიქცევა მარტოოდენ ადგილობრივი საგზაო მეურნეობისათვის (მუხ. 79)“.

12. 39 მუხლი (ა/ქსტსრ კან. კრ. 1927 წ. მე-19 №-რი, მუხ. 218) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„39. საბირუო გარიგების გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) საქონლის ბირჟაზე ქმნილი გარიგებისათვის—გარიგების თანხის $0,15\%$ -ს;

ბ) საფონდო ბირჟაზე და სასაქონლო ბირჟის საფონდო განყოფილებაში ქმნილი გარიგებისათვის—გარიგების თანხის $0,1\%$ -ს.“

1-ლი და მე-2 შენიშვნები დარჩეს წინანდელი რედაქციით.

13. 73 მუხლის „ა“ პუნ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადგილობრივ სახსარში შესული საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლისა და გადასახადების ანარიცხები, გარდა:

1) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხების იმ ნაწილისა, რაც სრულად მიქცეულ უნდა იქნეს საუბნო, სადაირო და სათემო ბიუჯეტებში;

2) სახელმწიფო სარეწავი გადასახადის ანარიცხების იმ ნაწილისა, რაც სრულად მიქცეულ უნდა იქნეს ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების ბიუჯეტებში;

3) სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციებით მიღებული მოგების იმ ანარიცხებისა, რასაც მიზნობრივი დანიშნულება აქვს“.

14. 79 მუხლი მიღებულ იქნეს „შემდეგი რედაქციით:

„79. საგზაო ფონდები განიყოფება რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ფონდებად; ამ ფონდების მიზანია ადგილობრივი საგზაო მეურნეობის დაფინანსება. აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის შესი განისაზღვრება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემაგალი რესპუბლიკანური კანონმდებლობით; ამასთანავე, რესპუბლიკანურ საგზაო ფონდში მიმქვევა ა/ქსფსრ შედგენილობაში შემაგალ სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე რკინის გზებით და წყალსავალი გზებით შემოზიდული და გაზიდული ტვირთის ადგილობრივი გადასახადის შემოსავლის 25% და აგრეთვე რესპუბლიკანური სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული სპეციალური ასიგნვები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.
1928 წ. დეკემბრის 17 ტფილისი-სასახლე.

